კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ	
სკოლის დასახელება	**კონკურსანტი მასწავლებლის სახელი, გვარი, პოზიცია**
სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს N1 საჯარო სკოლა	თეა ჭუმბურიძე

ინფორმაცია ბიბლიოთეკის საჭიროებაზე	
აღწერეთ, რატომ გსურთ სკოლის ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის დამატება • რატომ არის მნიშვნელოვანი სკოლაში „ფინედუს“ კუთხის გახსნა? • როგორ შეუწყობს ხელს „ფინედუს“ კუთხე სკოლას და განათლების პროცესს? • რა შეუწყობს ხელს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, აქტიურად გამოიყენონ „ფინედუს“ კუთხის მასალები?	სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს N1 საჯარო სკოლა მოსწავლეებისათვის არამარტო აკადემიური ცოდნის მისაღებ სივრცეს წარმოადგენს, არამედ ის ადგილია, სადაც ბავშვები მომავალი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს იძენენ და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ემზადებიან. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია სკოლის ბიბლიოთეკაში სასკოლო სახელმძღვანელოებისა და მხატვრული ლიტერატურის გვერდით არსებობდეს „ფინედუს“ ფინანსური წიგნიერების კუთხე. მე, როგორც დაწყებითი კლასების მასწავლებელი, ვცდილობ მოსწავლეებში წიგნიერების დონის გაზრდას ხელი შევუწყო როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლებით. მე-3 წელია რაც სკოლაში ჩემი ხელმღვანელობით ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი “ასფურცელა“, რომელშიც დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები არიან გაერთიანებული. ვფიქრობ, „ფინედუს“ რესურსების დახმარებით კიდევ უფრო გავამრავალფეროვნებთ ჩვენი კლუბის აქტივობებს და რაც მთავარია, საინტერესო ფორმით მოვახდენთ მოსწავლეებში ფინანსური წიგნიერების განვითარების ხელშეწყობას. მკითხველთა კლუბის შეხვედრებს დავუთმობთ „ფინედუს“ წიგნებსა და რესურსებზე მუშაობას. რომლის შედეგადაც საკლასო ოთახებში შეიქმნება ბიზნესთან დაახლოებული გარემო და მოზარდები საინტერესო ფორმით გაეცნობიან ეკონომიკისა და ფინანსების საბაზისო ცნებებს. ლიტერატურის დამუშავების შემდეეგ ჩავატარებთ „ფინედუს კუთხის“ ვიქტორინა/ კონკურსს. ამ რესურსების სხვადასხვა აქტივობებში გამოყენება დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ბიუჯეტის დაგეგმვასა და ფულის სწორად მართვის უნარების განვითარებაში, ასევე შეასწავლის შესაძლო ფინანსური სირთულეების თავიდან არიდების გზებსა და საშუალებებს. რაც მთავარია მოსწავლეები მიიღებენ უნიკალურ საგანმანათლებლო გამოცდილებას, რომელიც ამავე დროს ხელს შეუწყობს ისეთი

	ისეთ უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორებიცაა კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, ლიდერობა, გუნდური მუშაობა, არჩევანის სწორად გაკეთება, დაგეგმვა და სხვა. ადრეულ ასაკშივე ასეთი მნიშვნელოვანი უნარების განვითარებით, მოსწავლეები უკეთ მოემზადებიან როგორც სამომავლო განათლებისათვის, ასევე სამუშაო გარემოსათვის და შედარებით უმტკივნეულოდ გაუმკლავდებიან იმ გამოწვევებს, რომლებიც შესაძლოა მათ მომავალში ფინანსური კუთხით შეხვდეთ. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ხელი მიუწვდებოდეთ ფინანსური განათლების სხვადასხვა რესურსზე სასკოლო ბიბლიოთეკაში,
	  აღსანიშნავია, რომ ორიოდე წლის წინ მონაწილეობა მივიღეთ საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარების საგრანტო კონკურსში, რომლის ფარგლებში სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი განახლდა 800 ლარამდე ღირებულების წიგნებით.
	  გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნული სასწავლო გეგმაში სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ფინანსური წიგნიერების საკითხებიცაა გათვალისწინებული, ჩვენს სკოლაში X კლასში არჩევით საგნად ისწავლება მეწარმეობის საფუძვლები, რომლის ფარგლებში მოსწავლეები იძენენ საბაზისო ცოდნას და ეცნობიან იმ შესაძლებლობებს, რომელიც ჩვენს რეგიონში სამეწარმეო საქმიანობის კუთხით არსებობს. საგნის შესწავლის პარალელურად მოსწავლეები პრაქტიკული სამუშაოებსაც აწარმოებენ, რითაც პირველ ნაბიჯებს დგამენ სამეწარმეო საქმიანობის მიმართულებით. კერძოდ, საახალწლოდ მოაწყვეს საკუთარი ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. აღნიშნულმა აქტივობებმა უკეთ დაანახა მოსწავლეებს მეწარმესა და მომხმარებელს შორის ურთიერთობის ფორმა, ასევე გამოკვეთა უფრო მეტად მოთხოვნადი პროდუქტები. გამომუშავებული თანხის ნაწილი მოხმარდა მომავალი გამოფენისათვის საჭირო რესურსების შეძენას, ნაწილი კი სასკოლო პროექტის „სიკეთე გადამდებია“ ფარგლებში სოციალურად დაუცველი ოჯახების ნობათების მომზადებას.
	  დაწყებით კლასებში „ფინედუს“ მასალების გამოყენებით ჩატარდება ღია გაკვეთილები. ქართული ენისა და მათემატიკის გაკვეთილებზე შესაბამისი თემების განხილვისას მოვახდენთ მათ ფინანსურ წიგნიერებასთან ინტეგრირებას. დაწყებით საფეხურზე ასევე აქტიურად გამოვიყენებთ „ფინედუს“ სამაგიდო თამაშებს, რომლის საშუალებითაც ბავშები საინტერესო ფორმით გაიღრმავებენ ცოდნას ფინანსური განათლების მიმართულებით.
	  დარწმუნებული ვარ, ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს N1 საჯარო სკოლაში „ფინედუს“ კუთხის შექმნა იქნება ის ინვესტიცია, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურად დამოუკიდებელი და წარმატებული მოქალაქეების ჩამოყალიბებას.

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ინფორმაცია ჩასატარებული პროექტის/აქტივობის შესახებ	
პროექტის /აქტივობის დეტალები	**ქვემოთ მოცემულ ველებში დეტალურად აღწერეთ პროექტი/აქტივობა, რომელსაც განახორციელებთ/დააინიცირებთ „ფინედუს“ მასალების გამოყენებით 2025 წლის 20 დეკემბრამდე.** • **შეგიძლიათ აღწეროთ როგორც ხანგრძლივი პროექტი, მაგ.: ფინანსური განათლების კლუბის შექმნა, სემესტრული კონკურსები, მასალების სხვა საგნებში ინტეგრირება და სხვ. ასევე, კონკრეტული, ერთჯერადი აქტივობები, მაგ.: ტრენინგი, დისკუსია და სხვ.** • **განგრძობით პროექტებში ინიცირება გულისხმობს პირველი აქტივობის ჩატარებას.**
მიზნობრივი სეგმენტი *(მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები ან სხვ)*	I-VI კლასის მოსწავლეები
ადგილი, ხანგრძლივობა, ჯერადობა	სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის N1 საჯარო სკოლა, 5 სამუშაო დღე
ინდივიდუალურად განახორციელებთ თუ სხვა პირის ან ორგანიზაციის ჩართულობით (თუ სხვაც ჩაერთვება, პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე),მოკლედ აღწერეთ რა დანიშნულებით/ფუნქციით ჩაერთვება	პროექტს განვახორცილებ ინდივიდუალურად, თუმცა ცალკეულ აქტივობებში თანაშემწეობას გამიწევენ აქტივობის განმხორციელებელი კლასის ხელმძღვანელები.
პროექტის/აქტივობის აღწერა *(მიუთითეთ ყველა რელევანტური ინფორმაცია პროექტის იდეის შესაბამისად: რაში მდგომარეობს იდეა, როგორ წარიმართება შეხვედრა/შეხვედრები, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილავთ თემებს, რა სავარუდო თემები დაიფარება, რა მეთოდებს გამოიყენებთ და როგორ დაუკავშირებთ ფინანსურ განათლებას, რამდენი მონაწილე ჩაერთვება, პროექტი განგრძობითია თუ ერთჯერადი)*	**ფინანსური წიგნიერების კვირეული დაწყებით საფეხურზე** **1-ელი დღე** I კლასი- აქტივობა „რა არის ფული?“ -ფულის ამოცნობა და მისი ფუნქციის გაცნობა. II კლასი - თამაში „ფულის მაღაზია“(როლური თამაში) - მოსწავლეები ირგებენ მყიდველისა და გამყიდველის როლებს, იყენებენ ხელნაკეთ ფულს, სწავლობენ ანგარიშს, ბიუჯეტირებას და გამიზნულად ხარჯვასა. **მე-2 დღე**

	IV კლასი- საბანკო ტერმინების კედელი -კლასში გამოაკრავენ და გაეცნობიან მარტივად ახსნილ საბანკო/ფინანსურ ტერმინებს. III კლასი- ყულაბების დამზადება- საუბარი თემაზე „რატომ ვაგროვებთ ფულს?“ **მე-3 დღე** III კლასი-- ფინანსურ წიგნიერებისა და ქართული ენის ინტეგრირებული გაკვეთილი~ **მე-4 დღე** V კლასი- პოსტერების „ფულის გზა“ დამზადება- მოსწავლეები პოსტერზე გამოსახავენ როგორ მოძრაობს ფული. როგორ გამოიმუშავებენ უფროსები მას, სად იხარჯება და როგორ ხდება დაგროვება. VI კლასი- კომიქსების „ბიუჯეტირება და დაზოგვა“, „ინვესტიციების მართვა“, „დაგროვების ამბავი“ - დამუშავება და მინი დისკუსია **მე-5 დღე** მკითხველთა კლუბი- საბავშვო მოთხრობებისა და ზღაპრების განხილვა რომლებიც ასახავენ დაგროვების, შრომის, მომავლისთვის ფიქრის ან არასწორი გადაწყვეტილებების შედეგებს
შედეგი, რომელიც დადგება პროექტის/აქტივობის შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომავთ პროექტის განხორციელების შედეგს ან რითი შეაფასებთ პროექტის წარმატებას)*	დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები მიიღებენ საჭირო საბაზისო ცოდნას ფინანსური წიგნიერების მიმართულებით.
დაახლოებით როდის გეგმავთ პროექტის ორგანიზებას/განგრძობითი პროექტის შემთხვევაში ინიცირებას	2025 წლის ნოემბერში

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ